პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№65 (5095)

1974 წ. 2 აპრილი, სამშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალმა-ათა, 31 მარტი. [...] დლოვსკელ [...] კონდაკოვი ყაზახეთის სსრ მინისტრთა საბჭოს პრიზის XX ტრადიციული გათამაშების „მთავარ მოქმედ პირად" მოგვევლინა — მედეოს მაღალმთიან საციგურაოზე, მიუხედავად ჭირვეული, ცვალებადი ამინდისა, საუცხოოდ იასპარეზა და ორი საკავშირო რეკორდიც დაამყარა. 5000 მეტრზე მისი შედეგია 7.15,95 (ძველი რეკორდი — 7.26,22), ხოლო მრავალჭიდის ჯამში — 171,264 ქულა.

შეჯიბრებაში ექვსი ქვეყნის მოციგურავეები მონაწილეობდნენ.

## საფუძველი ჩაეყარა ფიზკულტურის ხეივანს

„კოლმეურნის" სამტრედიის რაიონული საბჭოს, ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და ბავშვთა სპორტული სკოლის თაოსნობით საცხენოსნო-სპორტული კლუბის იპოდრომის ტერიტორიაზე მოეწყო შაბათობა. შაბათობაში მონაწილეობა მიიღო რაიონის სოფლების ოცდაორმა რვაწლიანმა და საშუალო სკოლამ.

შაბათობის მონაწილეებმა იპოდრომის ტერიტორიაზე დარგეს ვაშლის, მსხლის, ტყემლის, ალუბლის, თხილის, კაკლისა და ატმის 584 ნერგი, რითაც საფუძველი ჩაეყარა ფიზკულტურის ხეივანს.

(ჩვენი კორ.).

სამტრედია.



## ორი ეტაპის შემდეგ

ამას წინათ რუსთავში ჩატარდა ველოსიპედისტთა შეჯიბრება რესპუბლიკური ფედერაციის პრიზზე. ასპარეზობაში მონაწილეობა მიიღო ასზე მეტმა სპორტსმენმა, მათ შორის, თბილისში სტუმრად მყოფმა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ველოსიპედისტებმა.

სამ ეტაპად დაყოფილი შეჯიბრება რუსთავის რკალით გაიხსნა. 6-კილომეტრიანი წრე მონაწილეებს შვიდჯერ უნდა გაევლოთ.

სტარტიდან დაწინაურდნენ რესპუბლიკის ნაკრების წევრები ა. ცხოვრებაძე, გ. რთველიაშვილი, შ. ჩქარეული და ვ. ივანოვი. ისინი წინ იყვნენ დიდხანს, მაგრამ ბოლო წრეზე მათ წამოეწივნენ გერმანელი ვ. ოტო, აგრეთვე, თბილისელები ვ. ფეტისოვი და ი. შარმაზანოვი. გერმანელ სპორტსმენს ველოსიპედი გაუფუჭდა და პირველობისთვის ბრძოლას გამოეთიშა. ფინიშის ხაზი ყველაზე ადრე გადაკვეთა ფეტისოვმა, II ადგილზე იყო შარმაზანოვი, III — ივანოვი. გამარჯვებულის შედეგია 1:05.21,0.

მეორე ეტაპი თბილისი—მცხეთის გზატკეცილზე მოეწყო. აქაც თავიდანვე დაწინაურდა სპორტსმენთა პატარა ჯგუფი, რომელშიც ოტოც იყო. შემდეგ ამ ჯგუფს შეუერთდა მეორე გერმანელი ო. ჰაინეც. გერმანელებმა ტაქტიკურად სწორად წარმართეს ბრძოლა და გაიმარჯვეს კიდეც. ფინიშთან პირველი იყო ოტო, მეორე — ჰაინე, III ადგილი წილად ხვდა ს. სარქისოვს.

ორი ეტაპის ჯამში ლიდერობას ინარჩუნებს დინამოელი ფეტისოვი. II ადგილზეა ჰაინე, III და IV ადგილებს კი ოტო და სარქისოვი იყოფენ.

გ. ფარცვანია,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

* * *

სურათებზე: რუსთავის რკალის მონაწილენი ქალაქის ქუჩებში; მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი ველოსიპედისტი ვ. ოტო (მარცხნივ) და რუსთაველი სპორტის ოსტატი გ. თოლომაშვილი.

რ. გაბრიჭიძის ფოტოები.



## თასი ლენინგრადელებმა დაისაკუთრეს

მოსკოვში დამთავრდა პიონერთა სასახლეების მოჭადრაკეთა გუნდების საკავშირო ტურნირი. მთავარი პრიზი მოიპოვა ლენინგრადის გუნდმა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ოსტატობის კანდიდატები ა. სოჩაგინი, ა. იუნეევი, ლ. ზამანსკი, ა. ერმოლინსკი; პირველთანრიგოსნები ი. საფაროვი, ი. რასინი და ლენა ბელოვა. ლენინგრადელებმა და მათმა კაპიტანმა, დიდოსტატმა მ. ტაიმანოვმა მიაღწიეს საუკეთესო შედეგს — 42,5 ქულა 70-დან.

შედეგების შეჯამებისას შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა, დიდოსტატმა ა. კოტოვმა თქვა: „ტურნირმა ბევრი ნიჭიერი მოჭადრაკე გაგვაცნო, რომელთა სახელებს ალბათ კიდევ არაერთხელ გავიგონებთ."

... 19$^{45}$

◆ ჩირჩიკი, 1 აპრილი. უზბეკეთის ამ ქალაქის სტადიონზე გაიმართა სსრ კავშირის სახმელეთო ჯარების პირადი პირველობა მძლეოსნობაში. ვ. დმიტრენკომ (ოდესის სამხედრო ოლქი) 72,16 მეტრზე ტყორცნა ურო, რაც საუკეთესო შედეგია წლეულს მსოფლიოში.

◆ კომიცე, 1 აპრილი. სსრ კავშირის ჭაბუკ ფეხბურთელთა ნაკრებმა გუშინ აქ უეფა-ს ტურნირის მატჩი წააგო ჩეხოსლოვაკიელ თანატოლებთან — 0:1 (0:0). ახლა ამ ჯგუფში ბოლო შეხვედრის (პოლონეთი — სსრ კავშირი, 7 აპრილი) წინ ასეთი მდგომარეობაა: ჩეხოსლოვაკია — 4 ქულა, პოლონეთი — 3, სსრ კავშირი — 3. გამარჯვებული უეფა-ს ფინალური ასპარეზობის (შვეცია, მაისი) საგზურს მიიღებს.

● ხერიზაუ (შვეიცარია), 31 მარტი. ევროპის იუნიორ ჰოკეისტთა ჩემპიონატის გადამწყვეტ მატჩში შვედებმა ანგარიშით 4:1 სძლიეს სსრ კავშირის ნაკრებს და უძლიერესის წოდებაც მოიხვეჭეს. საბჭოთა ჰოკეისტები ვერცხლის მედლებით დაკმაყოფილდნენ. III ადგილისთვის ერთმანეთს შეხვდნენ ფინეთისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდები. გაიმარჯვეს ფინელებმა — 3:2.

● ლიუბლიანა, 31 მარტი. ადგილობრივ სპორტის სასახლეში დიდი ინტერესი გამოიწვია მსოფლიო პირველობამ მეორე ლიგის ჰოკეისტთა გუნდებს შორის. გაისად „ა" ჯგუფში თამაშის უფლება ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრებმა მოიპოვა.

● სიკტივკარი, 31 მარტი. მოსწავლე ჰოკეისტთა გუნდების საკავშირო შეჯიბრებაში „წნული ბურთის" კლუბის პრიზზე უფროს ასაკობრივ ჯგუფში ყველას აჯობა ულიანოვსკის „ვოლგამ", ხოლო უმცროსში — კურსკის „მეტეორმა".

● იაროსლავლი, 31 მარტი. საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მთავარი პრიზი „ოქროს შაიბა" 11-13 წლის ნორჩი ჰოკეისტებისთვის მოიხვეჭა ვოსკრესენსკის (მოსკოვის ოლქი) „სნეჟინკამ".

● პროკოპიევსკი, 31 მარტი. „ოქროს შაიბის" კლუბის პრიზზე საკავშირო ასპარეზობის ფინალური ტურნირი ადგილობრივი „მეტეორის" ნორჩმა ჰოკეისტებმა წაუგებლად ჩაატარეს. ფინალური მატჩი მათ ანგარიშით 9:2 მოუგეს მაგნიტოგორსკის ა. მატროსოვის სახელობის კლუბის წარმომადგენლებს. ამრიგად, „მეტეორმა" მოიხვეჭა საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მთავარი პრიზი და ოქროს მედლები უფროსი ასაკის ბიჭებისთვის.

## სვეტლანა ნასყიდაშვილმა იყოჩაღა

კიროვსკი, 31 მარტი. „ჩრდილოეთის ოლიმპიადის" მორიგი დღე ლენინგრადელებისთვის იღბლიანი გამოდგა: მათ ნათხილამურევზეც და ტრამპლინზეც თავი გამოიჩინეს. ორჭიდელთა ასპარეზობაში გაიმარჯვა გამოცდილმა ი. ზაიცევმა, საპატიო კვარცხლბეკზე კი მას მხარი დაუმშვენეს ი. ხროპოვმა და ნ. ვორონინმა. სამივე სპორტსმენი ნევისპირელია. „მფრინავ მოთხილამურეთა" შეჯიბრებაში საუკეთესო იყო მათი თანაქალაქელი ვ. გალკინი — 238,8 ქულა.

სამაგიეროდ, სამთომოთხილამურეთა ასპარეზობის მაყურებლებს საშუალება მიეცათ გული ეჯერებინათ „თავისი" ჩემპიონისთვის ტაშის დაკვრით: სწრაფდაშვების 1800-მეტრიანი ტრასა ყველაზე სწრაფად დაფარა ევროპის ჭაბუკთა ჩემპიონატის პრიზიორმა, მონჩეგორსკელმა ვ. ციგანოვმა — 1.12,1.

ქალთა შორის ამ სახეობაში ბადალი არ ჰყავდა ბაკურიანელ ს. ნასყიდაშვილს. 1200-მეტრიან ტრასაზე მისი შედეგია 1.10,8.

ქალთა გიგანტური სლალომის (1100 მ, 42 კარი) დისტანცია ყველაზე სწრაფად დაფარა ბელორუსიის წარმომადგენელმა ნ. ზულოვამ. გამარჯვებულს სულ 0,4 წამით ჩამორჩა ნასყიდაშვილი. III ადგილი დაიკავა რ. კროონმა (ესტონეთი) — 1.27,4.

## საბჭოთა ათლეტებს ბადალი არ ჰყავთ

თავისუფალი სტილის საბჭოთა მოჭიდავეები წარმატებით განაგრძობენ ტურნეს ამერიკის შეერთებულ შტატებში. 27 მარტს ისინი სან-დიეგოში (კალიფორნიის შტატი) კვლავ შეხვდნენ მასპინძელი ქვეყნის ეროვნულ გუნდს და გაიმარჯვეს ანგარიშით 18:2.

საბჭოთა მოჭიდავეთაგან ხამმა წმინდა გამარჯვება მოიპოვა. ხ. ანდიევმა 1 წუთსა და 18 წამში ბეჭებზე დასცა პიკი, ი. იარიგინმა 2 წუთსა და 42 წამში სძლია ამუდსონს, ხოლო ლ. თედიაშვილმა ასევე ვადამდე გაუსწორა ანგარიში კეროლს.

ქულებით გაიმარჯვეს: ტ. ფაზაევმა — მოვარდთან, ვ. იუმინმა — სტიაჯერთან, ზ. აბდულბეკოვმა — დონალდსონთან, ნ. ნასრულაევმა — ტაისთან, რ. აშურალიევმა — ოლბრაიტთან, ვ. ხიულუინმა — არნოლდთან.

რ. დმიტრიევი ქულებით დამარცხდა მასპინძელ შერმანთან.

...და აი, კვლავ შეხვედრა აშშ-ს ნაკრებთან. ამჯერად საბჭოთა მოჭიდავეების სანახავად ბერკლის კალიფორნიის უნივერსიტეტის სპორტულ დარბაზში აურაცხელმა მაყურებელმა მოიყარა თავი.

ისევ გამარჯვება. შეხვედრის ანგარიშია 10:0!

სტუმართაგან წმინდად გამარჯვეს: აბდულბეკოვმა — მორგანთან (საბჭოთა ათლეტის აშკარა უპირატესობის გამო), თედიაშვილმა — სტრობელთან (4 წუთსა და 24 წამში), იარიგინმა — დიდრიხთან (8 წუთსა და 40 წამში) და ანდიევმა — მაკკრედისთან (2 წუთსა და 6 წამში).

ქულებით გაიმარჯვეს: ფაზაევმა—გონზალესთან, იუმინმა—გიტჩოსთან, აშურალიევმა — გალეგოსთან, ხიულუინმა — რენფროსთან. რ. დმიტრიევმა მოუგო ჯ. კარას.

ნასრულაევმა ქულებით მოუგო მსოფლიო ჩემპიონ კიზერს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რინგის ლაურეატები

**იჟევსკი, 31 მარტი.** დღეს აქ დამთავრდა სსრ კავშირის ჩემპიონატი კრივში. „იჟსტალის" სპორტის სასახლის რინგზე ცხრა დღის განმავლობაში 198 ორთაბრძოლა ჩატარდა. შარშანდელი ჩემპიონებიდან ეს უმაღლესი წოდება მხოლოდ ერთმა — ორსკელმა ე. გორსტკოვმა შეინარჩუნა. საიუბილეო, რიგით მე-40 საკავშირო ჩემპიონატში ყველა მოკავშირე რესპუბლიკის, აგრეთვე, მოსკოვისა და ლენინგრადის 209 წარმომადგენელი მონაწილეობდა.

ჩემპიონები გახდნენ (წონითი კატეგორიების მიხედვით): კუიბიშეველი ვ. იუდინი, ევროპის ჩემპიონი, დონეცკელი ვ. ზასიპკო, მოსკოველი ა. ავდეევი, ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, ასტრახანელი ვ. კუზნეცოვი, ევროპის იუნიორთა ჩემპიონი, პერმელი ვ. სოლომინი, ყარაგანდელი ა. ტოროპოვი, ბობრუისკელი ა. ბერეზნიუკი, ლვოველი ლ. შაპოშნიკოვი, ტაშკენტელი რ. რესკიევი, ოლიმპიური თამაშებისა და ევროპის ჩემპიონი, მოსკოველი ვ. ლემეშევი, აგრეთვე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ე. გორსტკოვი.

# „მოუსვენარი" სტუმრები

მოსკოვში, ცსკა-ს აუზში, დამთავრდა მოცურავეთა საერთაშორისო საიუბილეო შეჯიბრება „კომსომოლსკაია პრავდის" პრიზზე. ამ ასპარეზობაში უცხოელი სტუმრებიდან ყველაზე კარგად გამოვიდნენ ჰოლანდიელი ე. ბრიგიტა (მან ოთხი I ადგილი მოიპოვა და ეროვნული რეკორდიც დაამყარა) და აშშ-ს წარმომადგენელი ლ. ჰოუგენი (იგი უძლიერესი იყო ორ დისტანციაზე).

ბრიგიტამ განსაკუთრებით ძლიერად იასპარეზა 100 მეტრზე გულაღმა ცურვაში — 1.05,9 (ეს ჰოლანდიის რეკორდია). ამ სახეობაში მასპინძელთაგან საუკეთესომ, კიეველმა ლ. კომაროვამ III ადგილი დაისაკუთრა — 1.09,1. მას აჯობა ს. ნოაკმაც (საფრანგეთი) — 1.08,3. ბრიგიტამ თანაგუნდელებთან ა. ტე რიეტთან, ი. აგენბახთან და ვ. სტელთან ერთად მოიგო 4×100 მეტრზე კომბინირებული ესტაფეტა — 4.35,5. აქ II ადგილი წილად ხვდა „ტრუდის" ნაკრებს — 4.37,9, III — „დინამოს" გუნდს — 4.39,7.

ეს იყო ასპარეზობის ბოლო დღეს. წინადღით ბრიგიტამ ყველას აჯობა 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაშიც — 2.09,8. ლენინგრადელ ტ. შელოფასტოვას (ასკ) მან ფინიშთან 2,4 წამით მიასწრო.

რაც შეეხება ჰოუგენს, შეჯიბრების დასკვნითს ეტაპზე მან მოიგო 200 მეტრზე ბატერფლაით ცურვა — 2.22,0 (მეორე აქაც შელოფასტოვა იყო — 2.23,3) და 800 მეტრზე თავისუფალი სტილით შეჯიბრება — 9.33,0 (II ადგილზე გავიდა ჩებოქსარის სპარტაკელი ზ. ბახტინა — 9.33,3), ხოლო 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში მხოლოდ ხარკოვის დინამოელ ნ. პოპოვასთან (2.27,9) წააგო 1,1 წამი.

მასპინძელთაგან ქვეყნის რეკორდსმენი გახდა მოსკოველი ვ. მიხეევი („ზენიტი"). მართალია, 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში იგი ფინიშთან მეოთხე იყო, მაგრამ ჭაბუკთა საკავშირო რეკორდი მაინც დაამყარა — 1.58,7. გაიმარჯვა მიხეევის თანაქალაქელმა ა. სამსონოვმა (ასკ) — 1.56,8. სამსონოვმა მანამდე 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაც მოიგო — 4.07,3. თბილისელი ი. ლისეცკი („დინამო") ამ სახეობაში VI ადგილზე გავიდა — 4.16,7.

მოსკოველმა მ. სუხარევმა (ასკ) ორი გამარჯვება იზეიმა და ორივე — კომპლექსურ ცურვაში. მან ჯერ 400 მეტრზე დაამარცხა (4.40,1) ყველა მეტოქე, მერე კი ამ დისტანციის ნახევარზეც იმარჯვა — 2.12,7.

სხვა სახეობებში I ადგილები დაიკავეს: ქალთა შორის 200 მეტრზე ბრასით ცურვაში — ლ. რუსანოვამ (კრასნოდარი, „დინამო") — 2.43,8, 4×100 მეტრზე თავისუფალი სტილით ესტაფეტაში — „ტრუდმა" (ლ. კობზევა, ე. ტიმოშენკო, ი. ვლასოვა, თ. ბაზოვა) — 4.11,6.

ვაჟთა შორის გულაღმა 100 მეტრზე ცურვაში იმარჯვა ი. პოტიაკინმა (კუიბიშევი, „დინამო") — 1.01,2, 200 მეტრზე — ლ. დობროსკოკინმა (ვოლგოგრადი, ასკ) — 2.13,4, 200 მეტრზე ბრასით — ი. სტარიკოვმა (კისლოვოდსკი, „შრომითი რეზერვები") — 2.26,6, 200 მეტრზე ბატერფლაით — ვ. შარიგინმა (მოსკოვი, „ბურევესტნიკი") — 2.09.2, 1500 მეტრზე თავისუფალი სტილით — ი. ევგრაფოვმა (ლენინგრადი, ასკ) — 16.33,6. 4×100 მეტრზე თავისუფალი სტილით ესტაფეტაში გაიმარჯვა შეიარაღებული ძალების გუნდმა (ვ. აბოიმოვი, ვ. პერედისტი, ა. სამსონოვი, ვ. კრივცოვი) — 3.38,5, 4×100 მეტრზე კომბინირებულ ესტაფეტაში — ასევე შეიარაღებული ძალების წარმომადგენლებმა (ი. ელფიმოვი, ვ. ნემშილოვი, მ. ხრიუკინი, ვ. კრივცოვი) — 4.01,4.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ვაჟთა ესტაფეტაში 4×200 მეტრზე თავისუფალი სტილით, რომელიც ასპარეზობის მეორე დღეს მოეწყო, გაიმარჯვეს არა შეიარაღებული ძალების სპორტსმენებმა, როგორც ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზით შეცდომით გწერდით, არამედ „ლოკომოტივის" მოცურავეებმა (ს. ტკაჩენკო, ს. აკოფიანი, ა. პერევერზნიკოვი, ა. სმირნოვი) — 8.13,5.

საერთო გუნდურ ჩათვლაში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. შეიარაღებული ძალები — 2895 ქულა, 2. „ტრუდი" — 1762, 3. „დინამო", — 1756.

# ცხენოსნები ემზადებიან

ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის საცხენოსნო სპორტული ბაზის წარმომადგენლები ინტენსიურად ემზადებიან მომავალი შეჯიბრებებისთვის. აქ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ჭაბუკ ცხენოსანთა მზადებას, რომლებსაც თბილისის გუნდის ღირსების დაცვა მოუწევთ საქართველოს ჩემპიონატში. სულ ახლახან თბილისის იპოდრომის დახურულ მანეჟში მოეწყო საცხენოსნო სპორტული ბაზის აღსაზრდელთა საკლასიფიკაციო შეჯიბრება. განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი თ. ხუბულაშვილმა, თ. ხოსროშვილმა, ლ. სარქისიანმა, გ. პოპოვმა და ლ. ვასილჩენკომ. მათ უშეცდომოდ გაიარეს 600-მეტრიანი დისტანცია, რომელზეც განლაგებული იყო 10 დაბრკოლება და შეასრულეს II თანრიგის ნორმატივები.

პირად პირველობაში წარმატება წილად ხვდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის III კურსის სტუდენტს თ. ხუბულაშვილს. მან ზემოაღნიშნული მანძილი უშეცდომოდ დაფარა 35 წამში.

**ნ. ხუციშვილი,**
**სპორტის ოსტატი.**



უსიტყვოდ...

ნ. ქელეხსაშვილის ნახატი.

# ჩვენს მოძმე რესპუბლიკებში

## როცა გაზაფხული დაიწყო

მშდ ახალი კომპლექსის ნორმატივების ჩასაბარებლად საგაზაფხულო სტარტებზე გამოვიდნენ მბურღავი გეოლოგები, რომლებიც ურენგოიში მუშაობენ მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი გაზის საბადოს ასათვისებლად. მზე სულ უფრო ხშირად ჩანს დათოვლილი ტუნდრის თავზე. გეოლოგებსაც ცხარე დღეები დაუდგათ. და, რათა დრო არ დაკარგონ, გადაწყვიტეს მშდ კომპლექსის ნორმატივები პირდაპირ სამუშაო ადგილებზე ჩააბარონ. დასახლებული ადგილებიდან მრავალი ათეული კილომეტრის დაშორებით გეოლოგთა სავახტო დაბებში შვეულმფრენებით ჩამოიტანეს აუცილებელი სპორტული ინვენტარი: თხილამურები, ბირთვები, ბადროები, შუბები. ერთ-ერთმა პირველმა წარმატებით ჩააბარა გამოცდა მბურღავთა კომკავშირულ-ახალგაზრდულმა ბრიგადამ, რომელსაც ლენინის ორდენის კავალერი ნ. გლებოვი მეთაურობს.

ურენგოის ნავთობსაძიებო ექსპედიციაში ფიზკულტურა და სპორტი ერთგულ დამხმარედ მიაჩნიათ. ამ შორეულ დაბაში აქვთ საუცხოო სპორტული დარბაზი, „რბენის მოყვარულთა კლუბი". აქტივისტებმა მოაწყვეს ტირი, განზრახული აქვთ დახურული საციგურაოს აგება.

**პ. რიაბოვი.**

ურენგოი,
ტიუმენის ოლქი.

## შეჯიბრება თავმჯდომარემ გახსნა

დიდი სამამულო ომის ვეტერანი, კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი, უზბეკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ი. დუსოვი პირველი გამოვიდა ახალი ტირის ცეცხლის ხაზზე და ყველა ტყვია სამიზნის ცენტრში ჩასვა. დუსოვმა მშდ კომპლექსის ნორმატივი შეასრულა.

ასე გაიხსნა 100-მეტრიანი ტირი ნარიმანოვის სახელობის კოლმეურნეობაში.

ეს ერთ-ერთი ობიექტია სპორტული კომპლექსისა, რომელიც ბოლო წლებში შეიქმნა კოლმეურნეობაში (კოლმეურნეობის წლიური შემოსავალი 5 მილიონ მანეთზე მეტია). აქვთ სტადიონი 10000-ადგილიანი ტრიბუნებით, საცურაო აუზი, სასტუმრო „სპორტი".

ხორეზმის ოლქის ამ კოლმეურნეობაში 1300-ზე მეტი ჭაბუკი და ქალიშვილი 11 სპორტულ სექციაშია გაერთიანებული.

**ფ. კოსტიუშკინი.**

ურგენჩი.

## „რადიანსკა ბუკოვინა" სამაგალითოა

კოლმეურნეობა „რადიანსკა ბუკოვინაში" 80 ფიზკულტურელმა მიიღო მშდ კომპლექსის ოქროს და ვერცხლის სამკერდე ნიშნები, მათ შორის არიან კოლმეურნეობის თავმჯდომარე პ. ფომენკო და პარტიული ორგანიზაციის მდივანი ვ. ვოვკი, მერგოლურები და ბრიგადირები.

რამდენიმე წლის წინათ, როცა სოფელ მილიევოში სტადიონს აშენებდნენ, ძნელად თუ ვინმე იფიქრებდა, რომ იგი ესოდენ დიდ როლს შეასრულებდა სოფლის მშრომელთა ცხოვრებაში. ახლა კი არა მარტო ახალგაზრდები, არამედ ხანდაზმულებიც სიამოვნებით იკაჟებენ ჯანმრთელობას. და არა მარტო აქ; კოლმეურნეობას აქვს საჭიდაო დარბაზი, ტირი, ფრენბურთის მოედნები.

ამჟამად მშდ კომპლექსის სამკერდე ნიშნის მოსაპოვებლად ემზადება სოფლის კიდევ 330 მშრომელი. 200-ზე მეტი ადამიანი ჩააბარებს კომპლექსის IV საფეხურის („ფიზიკური სრულყოფა") ნორმატივებს.

**ფ. დრაჩენკო.**

ვინიცა,
ჩერნოვცის ოლქი.

## მშდ „დედამიწის სახურავზე"

პამირის მთებში, ფედჩენკოს ყინვარის მისადგომებთან მდებარე ვანჩის რაიონის მცხოვრებთა თითქმის ნახევარმა ჩააბარა მშდ კომპლექსის ნორმატივები.

ამ რაიონის ყიშლაღები ზღვის დონიდან 2500 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს. მიუხედავად ამისა, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შექმნილია სპორტული ბაზები. მთიელთა შორის პოპულარულია მძლეოსნობა, ფრენბურთი, კალათბურთი, ეროვნული ჭიდაობა ბუშტინგერი. და, რასაკვირველია, ძალიან უყვართ მთამსვლელობა.

ხოროგი.

## „გმირთა ვარსკვლავისებური ნათხილამურევი"

წლეულს სრულდება 30 წელი ფაშისტი ოკუპანტებისგან კარელიის განთავისუფლების დღიდან. ამ თარიღის აღსანიშნავად რესპუბლიკაში ჩატარდა „გმირთა ვარსკვლავისებური ნათხილამურევი", შეჯიბრება, რომელიც ზამთრის სეზონის დამამთავრებელ ეტაპზე მშდ კომპლექსის მიღწევათა თავისებურ დათვალიერებად იქცა.

რესპუბლიკის სოფლის სპორტსმენებმა თავი მოიყარეს ტყიან დაბა პრიაჟაში, რათა ებრძოლათ კარელიის გმირი ქალიშვილის, საბჭოთა კავშირის გმირ მარია მელენტიევას სახელობის პრიზისთვის.

ბრწყინვალე მოთხილამურე, კომკავშირელი მელენტიევა დიდი სამამულო ომის დროს შორეულ რეიდებს აკეთებდა მტრის ზურგში და ჩვენი სარდლობისთვის ძვირფასი ცნობები მოჰქონდა.

მამაცი მზვერავის სახელობის პრიზზე გამართულმა შეჯიბრებამ „უროჟაის" ფიზკულტურული კოლექტივების საუკეთესო ძალებს მოუყარა თავი. ჯილდო მოიპოვეს მელენტიევას მშობლიური პრიაჟის რაიონის მოთხილამურეებმა. მათ გულთბილად მიესალმა გმირი კომკავშირელის პირველი მასწავლებელი ი. რიტარი. პირად ჩათვლაში გაიმარჯვეს მელიორატორმა ტ. ამოსოვამ, ნადირთმომშენებელმა ტ. დერგაჩოვამ, ელექტრიკოსმა ი. ანდრეევმა, მელიორატორმა გ. ბულიევმა, რომლებმაც ყველაზე სწრაფად გაირბინეს შესაბამისად 5, 8, 10 და 15 კილომეტრი.

კარელიის მეორე მხარეში — ლადოგისპირა ქალაქ ლახდენპოხიაში მოეწყო შეჯიბრება საბჭოთა კავშირის გმირების ა. კოკორინისა და ა. ზახოდსკის სახელობის პრიზზე, რომელიც „გმირთა ვარსკვლავისებური ნათხილამურევის" ჩათვლაში შედიოდა. ამ მამაცი გმირების სახელს კარგად იცნობენ კარელიაში. ფსკოვის მიწის შვილმა ა. ზახოდსკიმ კარელიაში შესულ დამპყრობლებთან პირველ ბრძოლებში დიდი ვაჟკაცობა გამოიჩინა და 1941 წელს საბჭოთა კავშირის გმირის მაღალი წოდება მიენიჭა.

სამრეწველო საწარმოებისა და სკოლების ფიზკულტურის კოლექტივებისთვის დაწესებული კოკორინისა და ზახოდსკის სახელობის თასები ფირფიცრის ქარხნისა და ლახდენპოხიის საშუალო სკოლის მოთხილამურეებმა დაისაკუთრეს.

**ნ. მილოვი.**

პეტროზავოდსკი.

[illegible]

# [illegible]

## თბილისი

ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს 24 თანამშრომელი თვენახევრის მანძილზე იბრძოდა დაწესებულების უძლიერესი მოჭადრაკის სახელისთვის. ფინალურ ტურნირში, რომელშიც 12 კაცი მონაწილეობდა, I ადგილი დაიკავა ნ. აბზიანიძემ — 9 ქულა, II — თ. ბახტაძემ — 8 ქულა, III — გ. ჯანიაშვილმა (ყველა — საპროექტო-საძიებო ინსტიტუტი) — 7,5.

**გ. მიაურელი.**

## აბაშა

დოსააფის რაიონულმა კომიტეტმა ჩაატარა პირად-გუნდური პირველობა პნევმატური შაშხანის სროლაში. შეჯიბრებაში მონაწილეობდა რაიონის საშუალო და რვაწლიანი სკოლების 700-მდე მოსწავლე. რვაწლიანი სკოლების წარმომადგენელთა შორის ყველას აჯობეს აბაშისპირელებმა. II ადგილი დაიკავეს საგვაზაოს, III — კვათანის მსროლელებმა. საშუალო სკოლებს შორის პირველობა ხვდათ ნაესაკოვოს სპორტსმენებს. II ადგილზე არიან სამიქაოს, III — ზანათის წარმომადგენლები. სათანრიგო ნორმატივი შეასრულა 89 მოსწავლემ.

**რ. ჟანტურია.**

## გარდაბანი

დამთავრდა „კოლმეურნის" რაისაბჭოს მოჭადრაკეთა პირად-გუნდური პირველობა, რომელშიც საბჭოთა მეურნეობების 8 გუნდი მონაწილეობდა. თითოეულ გუნდში სამი წევრი იყო. გარდამავალი თასი დაისაკუთრა ლილოს მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა. ვაჟთა შორის უძლიერესი აღმოჩნდა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის წარმომადგენელი კ. ტაბლიაშვილი, ქალთა შორის — მ. გაფიშვილი (ლილო). ჭაბუკებს შორის ყველას აჯობა სოფელ გამარჯვების მეძევეობის საბჭოთა მეურნეობის წარმომადგენელმა დ. გოგოჭურმა.

**ზ. ქავთარაძე,**
**„კოლმეურნის" რაისაბჭოს ინსტრუქტორი, შეჯიბრების მთავარი მსაჯი.**

## თელავი

ლალისყურელმა მოშაშეებმა ამას წინათ სოფლის პირველობა გამართეს. ჩემპიონის სახელი მოიპოვა კ. ხაბაიძემ, სოფლის მოჭადრაკეთა შეჯიბრებაში პირველი სამი ადგილი გაიყვეს დ. ქვრიტიძემ, ა. ხააძემ და ბ. ბორშოიძემ.

**ბ. სამადაშვილი.**

## სამტრედია

გაიმართა „კოლმეურნის" რაისაბჭოს პირად-გუნდური პირველობა რუსულ შაშში. შეჯიბრებაში 20 გუნდი მონაწილეობდა. გუნდურ ჩათვლაში პირველობა დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმმა მოიპოვა. II ადგილზე გავიდა ღანირის მეთესლეობის ექსპერიმენტული საბჭოთა მეურნეობა, III ადგილზე არიან ვაზისუბნის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის წარმომადგენლები. ვაჟთა შორის უძლიერესი იყო ა. ბაღდავაძე, ქალთა შორის — ლ. გოგოლაძე. ამ შეჯიბრების შედეგების მიხედვით დაკომპლექტდა რაისაბჭოს ნაკრები გუნდი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს სოფლის სპორტსმენთა რესპუბლიკურ თამაშებში.

**ჯ. ვაშაკიძე.**

## ჩხოროწყუ

„კოლმეურნის" რაისაბჭომ ამას წინათ მოაწყო პირად-გუნდური პირველობები ჭადრაკსა და შაშში. მოჭადრაკეთა შეჯიბრებაში გაიმარჯვა ლესიჭინეს ჩაის საბჭოთა მეურნეობის გუნდმა, ხოლო მოშაშეთა ტურნირში — ახუთის კოლმეურნეობის ნაკრებმა. მოჭადრაკე ვაჟთა შორის უძლიერესის სახელი დაისაკუთრა ე. მალანიამ, ქალთა შორის — მ. სიჭინავამ.

**ს. ჯალაღონია.**

ეროვნული ბიბლიოთეკა





# განსაკუთრებით აღვნიშნავთ რატიანს...

თბილისის სპორტის სასახლეში დამთავრდა ნორჩთა რესპუბლიკური ასპარეზობა მინი-ფეხბურთში.

განსაკუთრებით დაძაბული გამოდგა ნახევარფინალური შეხვედრები. თბილისისა და სოხუმის დინამოელთა მატჩის ძირითადი დრო დამთავრდა ფრედ — 1:1. გამარჯვებულის გამოსავლენად საჭირო შეიქნა დამატებითი პენალტების შესრულება, რამაც წარმატება თბილისელებს მოუტანა. მათ გაიმარჯვეს საერთო ანგარიშით 3:1.

ასევე საინტერესო იყო ქუთაისის „ტორპედოსა" და სამტრედიის „ლოკომოტივის" ნორჩ ფეხბურთელთა შეხვედრა. ქუთაისელებმა შეძლეს გამარჯვება — 2:0.

კვირას შედგა გათამაშების დასკვნითი შეხვედრები. III ადგილისთვის იბრძოდნენ სოხუმისა და სამტრედიის გუნდები. გამარჯვება სოხუმელებს ხვდათ წილად — 3:1.

ტურნირის მთავარი პრიზისთვის ერთმანეთს შეხვდნენ თბილისისა და ქუთაისის ფეხბურთელები. როცა ძირითადი დრო დამთავრდა, ტაბლოზე აღნიშნული იყო ფრე — 1:1. დამატებითმა პენალტებმა გამარჯვება თბილისელებს მოუტანა — 3:2.

საპრიზო ადგილებზე გასულ კოლექტივებს გადაეცათ პრიზები და შესაბამისი ხარისხის დიპლომები. სპეციალური პრიზებით დაჯილდოვდნენ ტურნირის საუკეთესო მოთამაშეები. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსად მიგვაჩნია სოხუმელი ვ. რატიანი, რომლის ტექნიკურმა, მოსაზრებულმა თამაშმა საყოველთაო მოწონება ჰპოვა.

ც. ფცქიალაძე.

* * *

**სურათებზე:** თბილისის და ქუთაისის გუნდების გადამწყვეტი მატჩის მომენტი. ტურნირში გამარჯვებული თბილისის „დინამოს" ფეხბურთელები თავიანთ აღმზრდელებთან გ. გაგუასთან, ს. კოტრიკაძესა და ო. უშვერიძესთან ერთად.

მ. ზარგარიანის ფოტოები.

# 1 : 1

**ქუთაისი, 31 მარტი.** ცენტრალურ სტადიონზე გამართულ საკონტროლო მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ტორპედო" და ლვოვის „კარპატი".

თამაში მიმდინარეობდა დაძაბულად, საინტერესოდ. ანგარიში 50-ე წუთზე 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმით გახსნა ტორპედოელმა ფარულავამ. უკვე მაშინ, როცა მატჩის დამთავრებას ხუთიოდე წუთი აკლდა, ჩორბამ შეძლო საპასუხო ბურთის გატანა — 1:1.

ქუთაისის „ტორპედო" თამაშობდა ასეთი შემადგენლობით: გაბელია, აბზიანიძე, ქუთათელაძე, ბერულავა, ჭოხონელიძე, ოქროპირაშვილი, ჩახუნაშვილი, ფარულავა, ფესტვენიძე (ბურკაძე), ხერხაძე, გაბიჩვაძე.

შ. ნიჟარაძე.
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

# ა. ზაზროევი — უფროსი მწვრთნელი

სპორტის დამსახურებული ოსტატი ა. ზაზროევი დაინიშნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის ფეხბურთის სამმართველოში „ა" კლასის ოსტატთა გუნდების უფროს მწვრთნელად.

# ჩემპიონატი დამთავრდა, სეზონი გრძელდება

ლენინგრადი, 31 მარტი. კალათბურთელ ვაჟთა 41-ე საკავშირო ჩემპიონატის ბოლო მატჩები ერთობ მოულოდნელი შედეგებით დამთავრდა. ყველაზე გასაკვირი იყო ის, რომ ცსკა-მ ფინიშზე ვერც ერთი შეხვედრა ვერ მოიგო. ბოლოსწინა ტურში იგი დამარცხდა მინსკის რტი-სთან — 76:78 (39:49), ბოლო ტურში კი წააგო ლენინგრადის „სპარტაკთან" — 76:91 (32:49).

ზედიზედ ორი შეხვედრა მოიგო კიევის „სტროიტელმა". რიგის არმიელები მან დაამარცხა ანგარიშით 75:65 (38:35), ხოლო „ჟალგირისი" — 91:79 (47:47). ამ წარმატებებმა „სტროიტელს" ბრინჯაოს მედლები მოუტანა.

კარგად ითამაშა ფინიშზე მოსკოვის „დინამომაც", რომელმაც დაამარცხა ჯერ „ჟალგირისი" — 83:82 (38:42), მერე კი მოუგო ტარტუს „კალევს" — 83:66 (48:38). დინამოელები სატურნირო ცხრილში IV ადგილზე არიან.

თბილისის „დინამო" ორჯერ დამარცხდა: ლენინგრადის „სპარტაკთან" — 63:70 (28:34), რიგის არმიელებთან — 85:93 (48:43).

მინსკის რადიოტექნიკის ინსტიტუტის გუნდთან წაგებამ კიევის არმიელები მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა. რტი-მ შედარებით ადვილად მოიგო ეს ბრძოლა — 78:65 (47:31) და შესამჩნევად დასცილდა აუტსაიდერთა ჯგუფს. რაც შეეხება უკრაინელებს, ისინი ბოლოსწინა ადგილზე აღმოჩნდნენ, ეს კი იმას ნიშნავს, რომ კიევის ასკ-ს საკონტროლო მატჩების ჩატარება მოუხდება I ლიგის მეორე პრიზიორთან (უკრაინის არმიელები წინა დღესაც დამარცხდნენ „კალევთან" — 76:84 (41:44).

უმაღლესი ლიგა დატოვა რიგის ასკ-მ. გაისად იგი I ჯგუფში ითამაშებს.

დღეს ტურნირის საზეიმო დახურვაზე სპეციალური პრიზები გადაეცათ ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშეებს. სპეციალისტთა ბრიგადამ საუკეთესო თავდამსხმელის პრიზი ე. კოვალენკოს (ცსკა) გადასცა, გამთამაშებლისა — ა. ტამისტეს („კალევი"), ცენტრალური თავდამსხმელისა — ა. ბელოვს („სპარტაკი").

ჩემპიონატი დამთავრდა, მაგრამ სეზონი გრძელდება. 9 აპრილს სსრ კავშირის ნაკრები მზადებას დაიწყებს მსოფლიო ჩემპიონატისთვის, რომელიც 3-14 ივლისს პუერტო-რიკოში უნდა ჩატარდეს. ნაკრები გუნდი მონაწილეობას მიიღებს იუგოსლავიის ორ ტურნირში, 11 და 12 მაისს კი მოსკოვში აშშ-ს ნაკრებს შეხვდება.



### გათამაშების საბოლოო ცხრილი

| | თ. | მ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|
| ცსკა | 27 | 23 | 2390-2086 | 23 |
| „სპარტაკი" | 27 | 22 | 2079-1858 | 22 |
| „სტროიტ." | 27 | 17 | 2293-2163 | 17 |
| „დინ." (მ.) | 27 | 16 | 2194-2101 | 16 |
| „კალევი" | 27 | 15 | 2197-2114 | 15 |
| „დინ". (თბ.) | 27 | 10 | 2050-2159 | 10 |
| რტი | 27 | 9 | 1963-2217 | 9 |
| „ჟალგირისი" | 27 | 9 | 2108-2200 | 9 |
| ასკ (კიევი) | 27 | 7 | 2020-2180 | 7 |
| ასკ (რიგა) | 27 | 7 | 2066-2282 | 7 |

# გვახსოვდეს და... დავივიწყოთ

შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო წლევანდელი ჩემპიონატის ყველაზე უცნაური მატჩი. პირველ ტაიმში მეტოქეთაგან ერთ-ერთი — „ჟალგირისი" — პირდაპირ ბრწყინვალე იყო. მეორე — თბილისის „დინამო", უბრალოდ, შეგვეცოდებოდათ. დინამოელებს ბურთი ხელიდან უვარდებოდათ, ხოლო ვერაგმა მოხუცმა ხოტაბიჩმა „ჟალგირისის" კალათის რგოლი თითქოს რაღაც უჩინარ ბადეში გაახვია. შესვენებისთვის ანგარიშში სხვაობა 23 ქულას უდრიდა!

...როცა მატჩებზე ვსაუბრობთ, ჩვენ ხშირად ვლაპარაკობთ ტექნიკაზე, მოთამაშეთა ფიზიკურ მომზადებაზე, და ეს, როგორც ჩანს, სწორიცაა, ვინაიდან სწორედ ესაა კალათბურთის საფუძველი. მაგრამ ყოველივე ამას ხასიათიც უნდა ახლდეს, ნამდვილი მამაკაცური ხასიათი! შესვენებისას სხვა გუნდების კალათბურთელთა უმეტესობამ — მათ შორის ბევრმა ახალგაზრდა მოთამაშემაც — დარბაზი დატოვა, ღრმად დარწმუნებულმა, რომ „აქ ყველაფერი ნათელია". მაგრამ ისინი სულ ტყუილად წავიდნენ...

ჩვენ არ ვიცით, რა უთხრეს შესვენებაზე დინამოელებს მათმა მწვრთნელებმა ლ. მოსეშვილმა და ა. სხიერელმა, ან საერთოდ ჰქონდათ თუ არა ლაპარაკი. მაგრამ მეორე ტაიმში, ბედის საწინააღმდეგოდ, მარტო ხასიათის წყალობით (რაც ასე აკლია ბევრ ახალგაზრდა კალათბურთელს) დინამოელებმა ბრძოლის ჩარხი წაღმა დაატრიალეს. დევნის აზარტმა თითქოს მთელი დარბაზი მოიცვა. არ შეიძლებოდა აღტაცებული არ დარჩენილიყავით ჩიხლაძის, ქორქიას და მათი ამხანაგების ურყევი რწმენით, საბოლოო გამარჯვების იმედით. ამ რწმენამ ნაყოფი გამოიღო: ბოლო წამზე გულის გამაწვრილებელმა ნარიმანიძემ გამარჯვების მაუწყებელი ბურთი ჩააგდო „ჟალგირისის" კალათში.

თბილისელთა შემდგომ ბედზე წინასწარ ძნელია ლაპარაკი (გუნდის რამდენიმე მთავარი მოთამაშე დაშავებულია და ამჟამად სარბიელზე არ გამოდის), მაგრამ ამ მატჩს თამამად შეიძლება ეწოდოს ჰიმნი ვაჟკაცობისადმი, კაცური სიმტკიცისადმი, სპორტული ხასიათისადმი.

მეტოქეები? ო, რა თქმა უნდა, ახლა იოლია ლაპარაკი, რომ „ჟალგირისს" უნდა შეენარჩუნებინა გამარჯვება. მაგრამ, როგორც ჩანს, არ ცდებოდა ლიტველთა გამოცდილი, მრავლისმნახველი მწვრთნელი ვ. ბიმბა, რომელმაც მატჩის შემდეგ თქვა:

— ასეთი თამაშების გაანალიზება არ შეიძლება. ეს თამაშები უნდა გვახსოვდეს, მაგრამ იმასაც უნდა ვცდილობდეთ, რომ მალე დავივიწყოთ.

ი. ვისტავკინი.

ლენინგრადი, 27 მარტი.

„სოვეტსკი სპორტი" № 78.

# ლეგენდად ქცეულნი... ეკრანზე

**კ**ინოსტუდია „ქართული ფილმი", ოთახი № 53. „პირველი მერცხალი" — ვკითხულობთ ფირფიტაზე. ოთახში კედელზე ჰკიდია მალთაყვაში გადაღებული სურათი. მასზე ფილმის დამდგმელი რეჟისორი ნანა მჭედლიძე, რეჟისორი ნ. კაჭარავა, მხატვარი დ. თაყაიშვილი, ფილმის დირექტორი მ. ბერიძე და სცენარის ავტორი ლ. ჭელიძე არიან აღბეჭდილი. ჯგუფი ახლახან დაბრუნდა თბილისში ნატურგადაღებათა შერჩევიდან.

შემოქმედებითი კოლექტივი მალთაყვის სანაპიროზე მუშაობდა ახალ მხატვრულ ფართოეკრანიან ფერად ფილმზე, სადაც ასახული იქნება XIX საუკუნის ფოთის ცხოვრება და ამ ქალაქში მცხოვრებ პირველ ფეხბურთელთა საინტერესო თავგადასავალი.

...1900 წელი. ფოთი. კადრი № 305 — სამზარეულოში წვიმისგან მთლად გალუმპული, აღტაცებული ელიზბარი შემოვიდა. მოსახსამი მოიხადა, ლურსმანზე ჩამოჰკიდა და ჯიბიდან ოთხად გაკეცილი გაზეთი ამოიღო.

— საჭმელი არაფერი გაქვთ? — იკითხა მასპინძელმა. — თქვენთვის სიურპრიზი მაქვს, მეგობრებო. აგერ „დროებაში" ერთი სტატიაა დაბეჭდილი. სმენა იყოს და გაგონება!

კაცები ჩუმად მიაჩერდნენ მოლაპარაკეს, აპარატი პანორამას აკეთებს ჩვენს გმირებზე.

— პოპულარული ინგლისური თამაში ფუტბოლი, ჩვენებურად ფეხბურთი, XX საუკუნის გარიჟრაჟზე თითქმის მთელს ევროპაში იკიდებს ფეხს. ამ მოვლენას არც ქართველები ჩამორჩნენ: ფოთში შეიქმნა ფეხბურთის მოთამაშეთა გუნდი „მერცხალი", რომელმაც რამდენიმე საერთაშორისო თამაში ჩაატარა და ყველა მოიგო. მისი მეტოქეები იყვნენ საფრანგეთის, შვეციის, გერმანიის, იტალიისა და თურქეთის გემებზე ჩამოყალიბებული ფეხბურთის გუნდები. „მერცხალი" ამართლებს თავის სახელწოდებას, თამაშობს სწრაფად, მხუბუქად და ლამაზად. ცენტრფორვარდია (ყველაზე საპასუხისმგებლო ადგილი) იასონ კვირკველია, ცნობილი „ქვემეხის" სახელწოდებით.

იასონს პატარა ბიჭივით აუფანცქალდა გული.

— „მერცხლის" კარს იცავს ხვიჩა ქარცხია, — განაგრძობს კითხვას ელიზბარი. — ეს გახლავთ ნამდვილი კატა, რომელსაც ადამიანის ფორმა აქვს მიღებული. გუნდში თამაშობენ ფოთელი ჭაბუკები პოლა ოდიშარია, ვახტანგ ბერიძე, ჯონდო მამფორია, ნური ხომერიკი, ჭიჭიკო გოგიჩაიშვილი, სტეფანე შეველოვი, იოსებ კალანდაძე, ჯემალ კობალაძე და ბეჟან ბოლქვაძე. ვუსურვოთ „მერცხალს" დიდი წარმატებები ქართული ფეხბურთის სადიდებლად!

ესაა ნაწყვეტი სარეჟისორო სცენარიდან. როგორც ზევით მოგახსენეთ, კინოსტუდია „ქართულ ფილმში" რეჟისორი ნ. მჭედლიძე, რომელსაც ჩვენი მაყურებელი იცნობს ფილმებით: „გზაში", „ვილაცას ავტობუსზე აგვიანდება", „დიდედები და შვილიშვილები", მუშაობს მხატვრულ ფილმზე „პირველი მერცხალი". გადამღები ჯგუფი მოსამზადებელ სამუშაოებს შეუდგა.

ფილმში პოლიციელისა და შეჯიბრების მსაჯის როლს განასახიერებს იპოლიტე ხვიჩია.

ბ. გაგნიძე.

# „სპარტაკი", „ურალმაში"...

სვერდლოვსკი, 31 მარტი. გაიმართა უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ქალთა საკავშირო ჩემპიონატის ბოლოსწინა ტურის მატჩები. გთავაზობთ შედეგებს: „სპარტაკი" (ლენინგრადი) — „სერპ ი მოლოტი" (მოსკოვი) 101:55 (53:22), „უნივერსიტეტი" (ალმა-ათა) — „დინამო" (მოსკოვი) 66:79 (41:38), „კიბირკშტისი" (ვილნიუსი) — „ურალმაში" (სვერდლოვსკი) 58:74 (29:41).

ფრუნზე, 31 მარტი. ქალთა საკავშირო ჩემპიონატის ფრუნზეს ჯგუფის დასკვნითი მატჩები ასე დამთავრდა: „სპარტაკი" (მოსკოვი) — „ბურევესტნიკი" (ლენინგრადი) 55:56 (19:35), „დინამო" (კიევი) — ტტტ (რიგა) 63:77 (30.41), „სპარტაკი" (მოსკოვის ოლქი) — „სტროიტელი" (ფრუნზე) 86:73 (51:40), ტტტ — „სპარტაკი" (მოსკოვი) 71:47 (34:25), „სპარტაკი" (მოსკოვის ოლქი) — „დინამო" 74:75 (40:33), „სტროიტელი" — „ბურევესტნიკი" 79:67 (40:23).

სატურნირო ცხრილში I ადგილზეა ლენინგრადის „სპარტაკი", რომელმაც 22 ქულა მოაგროვა. მომდევნო ადგილზეა „ურალმაში" (21 ქულა)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემპიონატები, მატჩები, ცხრილები

## ინგლისი

შაბათს მოეწყო ინგლისის თასის გათამაშების ნახევარფინალური მატჩები. „ნიუკასლ იუნაიტედმა“ მოუგო „ბერნლის“ — 2:0. ორივე გოლი გაიტანა მაკდონალდმა. ამ მოგების შედეგად „ნიუკასლ იუნაიტედი“ 19-წლიანი „შესვენების“ შემდეგ კვლავ ითამაშებს ინგლისის თასის ფინალურ მატჩში „უემბლიზე“. მეორე ნახევარფინალური შეხვედრა „ლივერპულსა“ და „ლესტერ სიტის“ შორის უშედეგოდ (0:0) დამთავრდა და გუნდები კვლავ შეხვდებიან ერთმანეთს.

ჩემპიონატის მატჩებიდან აღსანიშნავია „ლიდს იუნაიტედის“ მორიგი მარცხი, ამჯერად ლონდონში „ვესტ ჰემ იუნაიტედთან“. ანგარიში ლიდსელმა კლარკმა გახსნა, მაგრამ კლაიდ ბესტის, რობსონისა და ბრუკინგის ზუსტმა დარტყმებმა ლონდონელებს გამარჯვება მოუტანა — 3:1. კომენტატორები, რომლებიც მთელი სეზონის განმავლობაში „ლიდს იუნაიტედს“ ჩემპიონის ტიტულის უცილობელ პრეტენდენტად თვლიდნენ და მას ევროპის უძლიერეს კლუბადაც აღიარებდნენ, ახლა მეტად პესიმისტურად უყურებენ ლიდსელთა შანსებს ოქროსთვის ბრძოლაში.

ტურის მეორე სენსაციად აღიარებულია მეორე შეხვედრა ლონდონში: ადგილობრივი „ჩელსი“ დამარცხდა „მანჩესტერ იუნაიტედთან“ — 1:3.

ლონდონის „ქუინზ პარკ რეინჯერსმა“ შინ ფრედ ითამაშა „დერბი ქაუნთისთან“ — 0:0.

ლონდონის „ტოტენჰემ ჰოტსპურმა“ თავის მინდორზე წააგო ლივერპულის „ევერტონთან“ (0:2) და X ადგილზეა. ეს შეხვედრა 462-ე იყო მეკარე პატ ჯენინგსისთვის, რაც „ტოტენჰემ ჰოტსპურში“ რეკორდად ჩაითვალა.

მეორე ლიგაში ყველას აჯობა „მიდლსბრომ“, რომელმაც შაბათს სტუმრად სძლია „ლუტონ თაუნს“ (1:0) და გაისად პირველ ლიგაში ითამაშებს. „მიდლსბროს“ მწვრთნელმა ჯეკ ჩარლტონმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ერთი წლის წინათ, როცა მან გუნდი ჩაიბარა, ასეთი ტრიუმფი სიზმარშიც კი ვერ წარმოედგინა.

შაბათს შეხვედრების შემდეგ II ლიგის სატურნირო ცხრილის პირველი ორი სტრიქონი (I ლიგაში, როგორც იცით, ორი გუნდი გადავა) ასე გამოიყურება:

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მიდლსბრო“ | 36 | 24 | 10 | 2 | 58:23 | 58 |
| „ლუტონ თაუნი“ | 35 | 17 | 9 | 9 | 50:40 | 43 |

პირველი ლიგის ლიდერთა სამეული კი ასეთია:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ლიდს იუნაიტედი“ | 36 | 20 | 12 | 4 | 58:29 | 52 |
| „ლივერპული“ | 33 | 20 | 8 | 5 | 41:23 | 48 |
| „დერბი ქაუნთი“ | 36 | 14 | 14 | 8 | 45:33 | 42 |

## შოტლანდია

შაბათს გლაზგოში ადგილობრივმა „სელტიკმა“ ძლივს მიაღწია ფრეს (3:3) „დამბარტონთან“ (პირველი ნახევარი გლაზგოელებმა წააგეს — 0:2). ასეთივე ანგარიშით დამთავრდა ედინბურგის „ჰიბერნიენისა“ და „სენტ ჯონსტონის“ შეხვედრა.

„გლაზგო რეინჯერსმა“ შინ მოუგო (4:0) „კლაიდს“ და II ადგილზე გადაინაცვლა. აღსანიშნავია, რომ ამ შეხვედრაში გლაზგოელებმა კლუბის მეათიათასე (10000!) გოლი გაიტანეს, (იგულისხმება „გლაზგო რეინჯერსის“ მიერ გატანილი გოლები ყველა სახის შეჯიბრებებსა და შეხვედრებში), რაც, ბრიტანელი კომენტატორების აზრით, მსოფლიო რეკორდია. მიუხედავად იმისა, რომ გლაზგოელებმა გატანილი გოლების თვლა 1873 წლიდან დაიწყეს, ეს მაინც საკმაოდ ბევრია!

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სელტიკი“ | 26 | 19 | 3 | 4 | 69:24 | 41 |
| „გლაზგო რეინჯერსი“ | 26 | 15 | 5 | 6 | 47:25 | 35 |
| „ჰიბერნიენი“ | 24 | 14 | 6 | 4 | 52:31 | 34 |

## გფრ

მიუნჰენის „ბაიერნმა“ შინ მოუგო „კიოლნს“ — 4:1. მენჰენგლადბახის „ბორუსიამ“ ასევე შინ სძლია „დუისბურგს“ — 3:2.

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „ბაიერნი“ | 27 | 79:46 | 39 |
| „ბორუსია“ | 27 | 69:45 | 37 |
| „ფორტუნა“ (დიუსელდორფი) | 27 | 53:38 | 34 |

## იტალია

მილანში ადგილობრივი გუნდების „მილანისა“ და „ინტერნაციონალეს“ შეხვედრა სენსაციური ანგარიშით დამთავრდა. გაიმარჯვა „ინტერნაციონალემ“ — 5:1.

რომის „ლაციომ“ შინ აჯობა „კალიარის“ — 2:0. ტურინის „იუვენტუსმა“ სტუმრად ფრედ ითამაშა „ვერონასთან“ — 0:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ლაციო“ | 22 | 31:13 | 32 |
| „იუვენტუსი“ | 22 | 34:20 | 29 |
| „ნაპოლი“ | 22 | 25:18 | 28 |
| „ინტერნაციონალე“ | 22 | 36:22 | 27 |

## ავსტრია

კლაგენფურტში ადგილობრივმა „აუსტრიამ“ ქულა წაართვა ჩემპიონსა და ლიდერს — ინსბრუკის „სვაროვსკი-ვაკერს“ — 0:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „სვაროვსკი-ვაკერი“ | 20 | 46:12 | 33 |
| ვოესტ-ი (ლინცი) | 21 | 37:22 | 31 |
| „აუსტრია“ (ვენა) | 21 | 40:20 | 29 |

## შვეიცარია

16 ტურის შემდეგ ლიდერთა სამეული ასეთია.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ციურიხი“ | 16 | 32:13 | 27 |
| „ნევშატელ ქსამაქსი“ | 15 | 32:14 | 21 |
| „ლოზან სპორტი“ | 15 | 32:22 | 20 |

## ჰოლანდია

ტურის ცენტრალური შეხვედრა ჩემპიონსა და მიმდინარე გათამაშების ლიდერს — ამსტერდამის „აიაქსსა“ და „ეინდჰოვენს“ შორის ეინდჰოვენში სენსაციურად დამთავრდა. ლიდერი დამარცხდა — 1:3. მისმა მეტოქეებმა ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლაში — როტერდამის „ფეიენოორდმა“ და ენსხედეს „ტვენტემ“ წარმატებით ითამაშეს. „ფეიენოორდმა“ შინ სძლია (1:0) ველზენის „ტელსტარს“, ხოლო „ტვენტემ“ თავის მინდორზე ასეთივე ანგარიშით მოუგო „როდას“.

| | | | |
|---|---|---|---|
| „აიაქსი“ | 27 | 78:23 | 44 |
| „ფეიენოორდი“ | 27 | 73:25 | 44 |
| „ტვენტე“ | 27 | 48:15 | 44 |

## პორტუგალია

ლისაბონის „სპორტინგმა“ სტუმრად სძლია გიმარაიშის „ვიტორიას“ — 1:0. გოლი გაიტანა დიმისმა.

ავეირუში ადგილობრივმა „ბეირამარმა“ ფრედ ითამაშა ლისაბონის „ბენფიკასთან“ — 1:1.

„პორტუმ“ შინ მოუგო კოიმბრას „აკადემიკას“ — 1:0.

ჩემპიონატის ფინიშამდე მხოლოდ ხუთი ტური დარჩა და, კომენტატორთა აზრით, ლისაბონის „სპორტინგს“ ჩემპიონობა თითქმის უზრუნველყოფილი აქვს.

| | | | |
|---|---|---|---|
| „სპორტინგი“ | 25 | 81:14 | 42 |
| „ბენფიკა“ | 25 | 45:17 | 38 |
| „პორტუ“ | 25 | 37:16 | 38 |
| „ვიტორია“ (სეტუბალი) | 25 | 56:18 | 37 |

## გდრ

იენის „კარლ ცაისმა“ ლაიპციგში სძლია ადგილობრივ „ხემის“ — 1:0. დრეზდენის „დინამომ“ შინ მოუგო კოტბუსის „ენერგის“ — 7:0. ორ-ორი გოლი გაიტანეს დერნერმა და კრაიშემ.

საუკეთესო სნაიპერთა სიას ლიდერობს მატოული (ლაიპციგის „ლოკომოტივი“) — 18 გოლი. შტრაიხი (როსტოკის „ჰანზა“) 14 გოლით მეორეა.

| | | | |
|---|---|---|---|
| „კარლ ცაისი“ | 23 | 50:21 | 34 |
| „მაგდებურგი“ | 23 | 44:24 | 33 |
| „დინამო“ (დრეზდენი) | 23 | 52:34 | 33 |
| „ფკფ ფრანკფურტი“ | 23 | 42:22 | 31 |

## პოლონეთი

ხოჟუვის „რუხმა“ სტუმრად ფრედ ითამაშა „რიბნიკთან“ — 0:0. კრაკოვის „ვისლამ“ შინ მოუგო ბიტომის „შომბიერკის“ — 1:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „რუხი“ | 17 | 33:11 | 26 |
| „ვისლა“ | 18 | 25:14 | 24 |
| „სტალი“ (მელეცი) | 18 | 29:11 | 23 |

## იუგოსლავია

სპლიტის „ჰაიდუკმა“ შინ აჯობა ზენიცის „ჩელიკს“ — 1:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ჰაიდუკი“ | 22 | 36:18 | 30 |
| „ველეჟი“ (მოსტარი) | 22 | 38:27 | 27 |
| „ჩელიკი“ | 22 | 21:14 | 25 |

## უნგრეთი

„დოჟა უიპეშტმა“ სტუმრად მოუგო „ზალაეგერსეგის“ — 3:2. ბუდაპეშტის „ფერენცვაროშმა“ სტუმრად აჯობა პეჩის „დოჟას“ — 1:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „დოჟა უიპეშტი“ | 20 | 50:25 | 28 |
| „ფერენცვაროში“ | 20 | 45:23 | 27 |
| „ვიდეოტონი“ (სეკეშფეხერვარი) | 20 | 29:21 | 26 |

## ბულგარეთი

სოფიაში ადგილობრივი გუნდების ცსკა-ს და „სლავიის“ შეხვედრა ფრედ დამთავრდა — 0:0. სოფიის „აკადემიკმა“ მოუგო „ლევსკი-სპარტაკს“ — 2:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ლევსკი-სპარტაკი“ (სოფია) | 23 | 49:20 | 40 |
| ცსკა | 23 | 38:20 | 34 |
| „ეტარი“ (ტირნოვო) | 22 | 32:18 | 27 |

## ჩეხოსლოვაკია

19 ტურის შემდეგ ლიდერთა სამეული ასეთია:

| | | | |
|---|---|---|---|
| „სლოვანი“ (ბრატისლავა) | 19 | 36:20 | 25 |
| „ბანიკი“ (ოსტრავა) | 19 | 27:27 | 25 |
| „დუკლა“ (პრაღა) | 19 | 28:20 | 22 |

(საქ. ინფ.).



# მური გაიყიდა

ინგლისის ნაკრებისა და ლონდონის „ვესტ ჰემ იუნაიტედის“ ყოფილი კაპიტანი ბობი მური გაიყიდა. „ვესტ ჰემის“ ხელმძღვანელობამ ანგარიში არ გაუწია მურის იმ დამსახურებას, რაც მას კლუბისა და ნაკრების წარმატებებში მიუძღვის. არ გაუწია ანგარიში არც იმას, რომ თექვსმეტი (!) წლის განმავლობაში მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ბევრი კლუბის ხელმძღვანელობა მურს უზარმაზარ თანხასა და თავიანთ კლუბებში გადასვლას სთავაზობდა, მაგრამ მური მუდამ უარს ამბობდა ამ მიწვევებზე, რადგან თავისი მშობლიური გუნდის „ვესტ ჰემის“ ერთგული იყო (მას აგრეთვე ეკუთვნის მსოფლიო რეკორდი ნაკრებში ჩატარებული მატჩების რაოდენობით — 107).

მაგრამ დაუფასეს ეს ყველაფერი? მას არც კი ჰკითხეს, რომელ გუნდში ერჩივნა გადასვლა და ვინც მეტი ნისცა, იმას მიჰყიდეს.

ასე გახდა 33 წლის ბობი მური, რომელიც ყოველთვის შედიოდა მსოფლიოს და ევროპის თითქმის ყველა სიმბოლურ ნაკრებში, II ლიგის კლუბ „ფულჰემის“ მოთამაშე. მურს ისღა დარჩენია თავი იმით დაიწყნაროს, რომ ამ კლუბის კაპიტანია ნაკრებში მურის ყოფილი კოლეგა ალან მალერი (ისიც მსოფლიო ჩემპიონია და უწინ ლონდონის „ტოტენჰემ ჰოტსპურში“ თამაშობდა). ახლა „ფულჰემში“, რომელიც II ლიგაში XV ადგილზეა, ორი ყოფილი ვარსკვლავი თამაშობს.

ვნახოთ, როგორი იქნება ამ გუნდის ბედი. იქნებ გაისად „ფულჰემმა“ შეძლოს I ლიგაში გადასვლა და მაშინ ძველი ვარსკვლავები ისევ ძველ ნაცნობებს დაუბრუნდებიან.

(საქ. ინფ.).

* * *

სურათზე: მური ყოველთვის თამაშის ორგანიზატორი იყო, რაც ამ მრავლისმეტყველ ჟესტშიც ჩანს. „მორნინგ სტარის“ (ლონდონი) ფოტო.



# პორტუგალიის ნაკრებთან სათამაშოდ

ხვალ პორტუგალიის დედაქალაქ ლისაბონში გაიმართება ძალიან საინტერესო ამხანაგური შეხვედრა: მასპინძელი ქვეყნის ნაკრები შეხვდება მსოფლიოს ექს-ჩემპიონს — ინგლისის ეროვნულ გუნდს. ამ უკანასკნელის მწვრთნელმა სერ ალფ რამსეიმ ლისაბონში გასამგზავრებლად დაასახელა 16-კაციანი ნაკრების შემადგენლობა. აი, ეს გუნდი: შილტონი („ლესტერ სიტი“), კლემენსი („ლივერპული“), მეილი („ლიდს იუნაიტედი“), ჰიუზი („ლივერპული“), ნიში („დერბი ქაუნთი“), ჰანტერი („ლიდს იუნაიტედი“), მაკფარლანდი, ტოდი (ორივე — „დერბი ქაუნთი“), ბელი („მანჩესტერ სიტი“), ბრუკინგი („ვესტ ჰემ იუნაიტედი“), დობსონი („ბერნლი“), პიტერსი („ტოტენჰემ ჰოტსპური“), ჩენონი („საუთჰემპტონი“), ბაულზი („ქუინზ პარკ რეინჯერსი“), მაკდონალდი („ნიუკასლ იუნაიტედი“), უორთინგტონი („ლესტერ სიტი“).

პირველ ყოვლისა, საინტერესოა ის ფაქტი, რომ რამსეიმ ნაკრებში კვლავ დააბრუნა გუნდის ვეტერანი მარტინ პიტერსი. მაგრამ, როგორც ხშირად ხდება, რამსეის კვლავ უღალატა ბედმა. საქმე ის არის, რომ ინგლისის თასის ნახევარფინალური მატჩი „ლესტერ სიტისა“ და „ლივერპულს“ შორის ფრედ დამთავრდა და ეს გუნდები კვლავ უნდა შეხვდნენ ერთმანეთს. ამიტომ ამ გუნდების ოთხი მოთამაშე ლისაბონში ვერ გაემგზავრებოდა და რამსეის ახალი შევსების ძებნა მოუხდა. ამ ოთხის რიცხვში ნაკრების ორი ძირითადი მეკარეცაა — ლესტერელი პიტერ შილტონი და ლივერპულელი რეი კლემენსი.

(საქ. ინფ.).

## ეტყობა, ფრანკი გაიმარჯვებს...

ივნისში უნდა გაიმართოს ფიფა-ს პრეზიდენტის არჩევნები. მიმომხილველების აზრით, ფიფა-ს ახლანდელი პრეზიდენტი, ინგლისელი ს. როუზი და ამ წოდების პრეტენდენტი ჟ. ჰაველანჟე (ბრაზილია) ახლა საფეხბურთო სამყაროში მაინცდამაინც პოპულარულნი არ არიან და ამ თანამდებობაზე დიდი პრეტენზიებიც ვერ ექნებათ.

საერთო აზრით, ფიფა-ს პრეზიდენტობის ყველაზე მეტი შანსი აქვს უეფა-ს ახლანდელ პრეზიდენტს ა. ფრანკის (იტალია).

● ●

## მხოლოდ ათი გუნდი?

შოტლანდიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ვ. ორმონდმა საინტერესო წინადადებით მიმართა ეროვნულ ფედერაციას. მან მოითხოვა შოტლანდიის პირველ ლიგაში გუნდების რიცხვი 18-დან ათამდე შემცირდეს, ამასთან, ეს გუნდები 4-4-ჯერ უნდა შეხვდნენ ერთმანეთს. ორმონდის აზრით, ეს რეფორმა მნიშვნელოვნად დაეხმარება ნაკრებს.

სპეციალური კომისია აპირებს ორმონდის ამ წინადადების შესწავლას.

## სპორტული ჟურნალისტებისთვის

პერუს ნაკრებმა ანგარიშით 4:2 სძლია სამხრეთ ამერიკის რჩეულ ფეხბურთელთაგან შემდგარ გუნდს.

ეს იყო საქველმოქმედო მატჩი, რომლის მთელი შემოსავალი გადაეცა პერუს სპორტულ ჟურნალისტთა გაერთიანებას.

# „მფრინავი მოთხილამურე ქალი“

„ამას წინათ „ლელოს“ ფურცლებზე წავიკითხეთ, რომელიდაც ნორვეგიელი ქალი თხილამურებით 76 მეტრზე გადახტაო. გთხოვთ გაგვაცნოთ ეს სპორტსმენი და მის შედეგებზეც უფრო დაწვრილებით გვიამბოთ“, — გვწერდნენ თბილისელი მოსწავლეები ლ. და გ. გელაშვილები, მ. ჟუჟანიშვილი და ბაკურიანელი ქ აკოფჯანოვა.

ვასრულებთ მათ თხოვნას.

პირველი ქალი, რომელმაც ტრამპლინიდან გადახტომა გაბედა, ნორვეგიელი გ. ბიოლანდი იყო. 1878 წელს მიურგედელის პატარა ტრამპლინიდან, რომელსაც ნორვეგიის სათხილამურო სპორტის აკვანს უწოდებენ, იგი 6 მეტრზე გადახტა. მერე ქალთა რეკორდი მეტად ნელა იზრდებოდა და 1920 წელს ავსტრიელმა გ. ლამბერგმა კიცბიუელში, ეს მიღწევა 24 მეტრამდე გაზარდა.

1938 წელს ნორვეგიელი ი. კოლსტადი ნიუ გემპშირის შტატში (აშშ) გამართულ შეჯიბრებაში 69,5 მეტრზე გადახტა. ეს რეკორდი ხელუხლებელი იყო, სანამ ნორვეგიელმა ანიტა ვოლდმა არ დაამხო.

ა. ვოლდი 17 წლისაა. თხილამურები ბავშვობიდანვე შეიყვარა და ხუთი წლისა თვითნაკეთი ტრამპლინიდან პირველად გადახტა, ამას წინათ მან ჰოლმენკოლენის (ნორვეგია) თამაშების მსაჯთა კოლეგიას სთხოვა, დიდ ტრამპლინზე გამოსვლის უფლება მომეცითო. მანამდე ვოლდის საუკეთესო შედეგი 73 მეტრი იყო. ჰოლმენკოლენის შეჯიბრებამდე ცოტა ხნით ადრე ანიტამ მშობლიურ ქალაქ ტრონჰეიმიდან არც ისე შორს, კლიოვსტაინის ტრამპლინზე 82,5 მეტრი აჩვენა. ნორვეგიელმა სპეციალისტებმა ეს კარგად იცოდნენ და ქალიშვილს ასპარეზობის ნება დართეს. ანიტამ ჰოლმენკოლენში რეკორდი ვერ გააუმჯობესა, მაგრამ საცდელ სერიაში მას საგრძნობლად მიუახლოვდა — 82 მეტრზე გადახტა.

## მორიგი ტირაჟები

30 მარტს მოსკოვში მოეწყო „სპორტლოტოს“ და „სპორტლოტო-2“-ის მორიგი ტირაჟები. იღბლიანი აღმოჩნდა შემდეგი ციფრები და სახეობები:

„სპორტლოტო“ — 8 (კრივი), 14 (ფრენბურთი), 16 (ტანვარჯიში), 23 (მძლეოსნობა), 25 (ტრამპლინიდან თხილამურებით ხტომა), 39 (სამბო);

„სპორტლოტო-2“ — 5 (ბადმინტონი), 13 (წყალსათხილამურო სპორტი), 26 (მოტობურთი), 32 (წყალში ხტომა), 37 (სროლა), 42 (ძალოსნობა).

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 66448
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.
უე 04545